

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #1042

2008 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის N 490 ბრძანებაში დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე**

”ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ა” და ”მ” ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის N490 ბრძანებით დამტკიცებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში (სსმ 04.06.2008 N 80 მუხ.864) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები

ა) შევიდეს ცვლილება წესდების 27 - ე მუხლის მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.”

ბ) შევიდეს ცვლილება წესდების 39-ე მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის აირჩევა ფაკულტეტზე არსებული პროგრამული მიმართულებებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე.”

**გ) წესდების 39-ე მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-3 პუნქტი :**

„ 3. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.”

**დ) შევიდეს ცვლილება წესდების 51 - ე მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ფაკულტეტების დეკანები და მათი მოადგილეები, (ასეთის/ასეთების არსებობის შემთხვევაში) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები. ”

2. ბრძანება შევიდეს ძალაში გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

გიორგი ნოდია

**გამოქვეყნებულია #172 მაცნეში 03.12.2008 წ.**